ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ [redacted]), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ [redacted]) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი ჯანი და ღონეს (ს/კ [redacted]) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის, სპორტული მიმართულებების ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბების და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სპორტის მიმართულებით მოქმედი ა(ა)იპ-ების ერთიან სტრუქტურაში გაერთიანების შესახებ.

ა(ა)იპ-ების გაერთიანების შედეგად, პირველ რიგში, განხორციელდება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და საბიუჯეტო სახსრების ოპტიმიზაცია; ფინანსური რესურსები კონცენტრირდება ერთ ორგანიზაციაში, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო სწორად გადანაწილებას პრიორიტეტული სპორტული მიმართულებების მიხედვით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მართვის ეფექტიანობა. ერთიანი მენეჯმენტის პირობებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გახდება უფრო სწრაფი და კოორდინირებული.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ რეორგანიზაციის პროცესში დაცული იქნება მოქმედი შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნები. თანამშრომელთა გადანაწილება და კომპენსაციის გაცემა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ-ების მიერთების გზით რეორგანიზაცია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ინტერესებზე მორგებულ, ეფექტიან და ეკონომიკურად გამართლებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციას, ისე სპორტული სფეროს განვითარებას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

ზემოაღნიშნული რეორგანიზაციის განხორციელების შედეგად, მიმდინარე წელს ბიუჯეტში დაახლოებით 200 000 ლარის ეკონომია იქნება მიღწეული, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო რესურსების უფრო ეფექტიან განაწილებას.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის მერი: **მინდია ჟღერია**